საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

შაბათი, 17 ივლისი 1920

რედაქცია და კანტორა [illegible] პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართული. [illegible] თვიური ხელის მოწერის [illegible] ღირს [illegible] მან.

ფასი 5 მან.

№ 25 ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ. № 25

საქართველოს კომუნისტურ პარტიის დრ. ცენტრალ კომიტეტისაგან.

ყველა ორგანიზაციებს.

ვინაიდან ამხანაგების დატუსაღება-რეპრესიები არ წყდება და კიდევ გრძელდება, თათბირი, რომელიც დანიშნული იყო [illegible] ივლისისათვის გადადებულია გამოურკვეველ დრომდე.

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

დღეს იხსნება მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესი.

მას ზურგს უმაგრებს პროლეტარიატის მილიონიანი არმია. მას ზურგს უმაგრებენ მონები კოლონიალურ ქვეყნებისა.

ამხ. მუშებო! კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშით წარმოებს მთელ დედამიწაზე დიდი ბრძოლა.

გაუმარჯოს მის გამარჯვებას! გაუმარჯოს კაცობრიობის მხსნელ კომუნიზმს!

30/2

## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

დღეს პროლეტარული რევოლიუციის სატახტო ქალაქში, წითელ პეტერბურგში გაიხსნება კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. გასული წლის მარტში შეიკრიბა ის მოსკოვის კრემლში თავის პირველ ყრილობაზე რათა მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ გაერთიანებისათვის. გადაბუგული და სისხლში მცურავი ევროპა, გაბაწრული და ტუჩებზე კლიტე დადებული მუშათა კლასი, მდიდრებთა ბანაკში გადაბარგებულ სოციალ—მოღალატეთა ყვითელი ხროვა, და შორს, ევროპის აღმოსავლეთში პროლეტარული რევოლიუციის ალ მოდებული რუსეთი—ასეთი იყო მაშინდელი სურათი, ასეთ პირობებში შეიკრიბა და ჩამოყალიბდა კომუნისტური ინტერნაციონალი. ყვითელი სოციალ-დემოკრატიის ტურამგლები აღმუილდენ მაშინ, რუსეთის ბალშევიკების მორიგ რეაქციონურ ოინათ გამოაცხადეს ახალი ინტერნაციონალის დაარსება. მარა დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ ერთად ერთი გაერთიანება მსოფლიო მუშათა კლასის, ერთად ერთი ცოცხალი, მომქმედი და მებრძოლი ინტერნაციონალი არის სწორეთ მოსკოვის ინტერნაციონალი. ცოცხლათ გაიხრწნა, პოლიტიკურათ დალპა ყვითელი მეორე ინტერნაციონალი; მისგან გარბიან ისინიც კი, ვისაც ყნოსვის გრძნობა დიდი ხანია მიმქრალი აქვს. გარბიან ისინიც, ვისაც ჯერ ვერ გაუგონებთ კომუნისტურ ინტერნაციონალის სახელს. სამაგიეროთ რაც კი არის თანამედროვე მუშათა კლასში და მის მოძრაობაში კეთილშობილი, მმოძრავი, მებრძოლი, რევოლიუციონური—ყოველივე ეს ხელს იწვდის და მიეშურება მესამე ინტერნაციონალში ინგლისელი თუ იაპონელი, ნორვეგიელი თუ ქართველი, შორეული ამერიკა და შორეულივე ინდოეთი; მოწინავე საფრანგეთი თუ ჩამორჩენილი ჩინეთი—ყველა აგზავნის თავის წარმომადგენლებს ამ მსოფლიო რევოლიუციის მთავარ შტაბში, რომელიც შვილია მსოფლიო რევოლიუციის საბჭოთა რუსეთის ნიადაგზე დაბადებული და რომელიც რევოლიუციის შეხლა-შემოხლებში დაიპყრობს თავის სამშობლოს—ყველა ქვეყნების პროლეტარების ჭეშმარიტ სამშობლოს. მას შეებრძოლებიან ნაცნობი გმირები გამცემლობის და მოღალატობის, მის წინმსვლელობის შეფერხებას შეეცდებიან მისი მოსისხლე მტრები, კომუნისტური რევოლიუციის ტყვიისმფრქვეველებით ჩამქრობელნი, რ. ლიუქსენბურგის და კ. ლიბკნეხტის მკვლელნი, მაგრამ არ არის ძალა დედამიწის ზურგზე, რომელსაც შეეძლოს მესამე ინტერნაციონალის ძლევამოსილი მსვლელობის შეჩერება, შეფერხება, ან მის მაგიერობის გაწევა საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლაში.

კაპიტალიზმის დამხობა დააწერა მან თავის დროშაზე და ერთი წლის განმავლობაში მიაღწია ისეთ შედეგებს, რაც არა თუ მის მტრებ, მის მომხრეებსაც არ წარმოედგინა ამ შედეგების, ამ მდიდარ გამოცდილების აწონ-დაწონას შეუდგება დღეს კომ. ინტერნაციონალის მეორე ყრილობა, და გასჭედს კიდევ უფრო მჭრელ იარაღს ძველი, ჩაგვრა-დამონავების ქვეყნის დასამხობათ და მის ალაგას პროლეტარული სოციალისტური წყობილების დასამყარებლათ.

მთელი მსოფლიოს მაშვრალნი და დაჩაგრულნი სასოებით და გულის ფანცქალით გაიყურებიან დღეს ჩრდილოეთისკენ; წითელ პეტერბურგისკენ, სადაც ამობწყინებულა წითელი ვარსკვლავი, სადაც შეკრებილა მათი რევოლიუციონური შტაბი, მათი კომუნისტური ინტერნაციონალი.

გაუმარჯოს მას, გაუმარჯოს მის რევოლიუციონურ ჯარს!

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲔᲑᲘ

„ერთობის“ მე-157 ნომერში მოთავსებულია პროფ. კავ. წარ. კვირის კრების ანგარიში. ბ. ნ. რამიშვილს უსარგებლებია უკანასკნელი სიტყვით და სხარტულათ, ჭეშმარიტ სპარტანული (თუ ნამდვილ გურული) სიტყვის მოჭრით გაუმეორებია მთელი თავისი პროგრამა რეპრესიების ჩვენს წინააღმდეგ. ეს—მაგარი მუშტის ფილოსოფიაა, მენშევიკებისგან ვითომ ათვალწუნებულ დიქტატურის (თუმცა მარჯვნიდან მარცხნით) ქებათაქებაა. ადმინისტრატიულ აღმაფრენის და აღფრთოვანების დამათრობელ წუთში ბ. მინისტრი ზომიერების გრძნობას შორს გადისვრის და აი რა ნაკვესებს აბნევს: „მე უნდა განვაცხადო, რომ მუშათა მთავრობა ყოველთვის და ყოველგან ყველაზე უფრო სასტიკი იყო თავის მტრებისადმი. ისტორიამ იცის ამის ორი ცხადი მაგალითი: პარიზის კომუნარები დაუნდობელნი იყვნენ ვერსალის ექსპლოატატორებისადმი. მეორე მაგ. შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთის ეგრედ წოდებული „მუშათა და გლეხთა“ მთავრობის პოლიტიკა. განა ესენი თავზე ხელს უსვამენ თავის მტრებს?“ (აქ, ადგილებიდან კლაკიორებს რეპლიკა მიუციათ: ისინი ალრჩობენო).

მართალია, იმავე „ერთობის“ მკითხველებს არა ერთხელ ამოუკითხავთ იმავე გაზეთში, ცნობილ „თეორეტიკოსის“ ს. დევდარიანის წერილებში, რომ პარიზის კომუნა, ვითარცა ძლიერი, ხელს არახლებდა თავის მტრებსო, მარა ჩვენ უნდა ვერწმუნოთ ბ. რამიშვილს ამ ჟამათ. მხოლოდ უნდა ვკითხოთ: რა გასახსენებელი იყო ამ შემთხვევაში კომუნას მოპყრობა ვერსალელებისადმი? ნუ თუ გგონიათ, რომ ჭკუა მახვილობა თუნდა მინისტრის შესძლებს კომუნისტების და ვერსალელების ერთიგივეობის გასაღებას, და გადამალვას იმ ფაქტის, რომ საქართველოს ყველა ვერსალელები თქვენს მრევლშია. თქვენ გეკვრიან გულში, თვენ გიკრავენ ტაშს. კომუნარების წმიდა ნეშთები საფლავში გადაბრუნდებოდენ მათ სმენას რო ჩასწვდებოდეს ხმა: ყველა ქვეყნებში „სოციალ-დემოკრატია“ ციხეებს არ აცდენს ერთი წუთითაც კი, და თოფს ამუშავებს არა ვერსალელთა წინააღმდეგ, არამედ, ვერსალელთა ხალისიანი დახმარებით, კომუნისტების წინააღმდეგ! აღშფოთდებოდენ პარიზის ტრაგედიის დაუვიწყარნი გმირები იმ მწუხარების გამო, რომელსაც გამოსთქვამს ოლიმპიური სიმშვიდით, თითქოს სისხლიანი რეპრესიების მგოსანიაო, ბ. რამიშვილი: რუსეთის დემოკრატია რო ძლიერი ყოფილიყო დამფუძნებელ კრების გარეკის გამო ბალშევიკებს „სათითაოდ დახვრეტდა“-ო და კარგსაც იზამდაო! როგორც ხედავთ, ალექსანდრეს ბაღის „სამწუხარო შემთხვევა“ აქ განზოგადოებულია, სისტემაში მოყვანილი და თეორეტიულ ჩარჩოში ჩასმული.

მარა ვიკითხოთ კვლავ, რა მოსატანია ყოველივე ეს მაშინ, როცა საქართველოს კომუნისტების აწინდელ მოქმედებაზეა მიმდინარე სიტყვა და საქმე? დასამტკიცებელი თუ დამტკიცებულათ მიგაჩნიათ, მაშინ რასაკვირველია არც ეს სახელდახელო თეორიები იქნებოდა საჭირო—ყველა დაგეთანხმებათ, რომ ყოველი მთავრობა ებრძვის თავის მტრებს. ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ თქვენ მტრობა გიხდებათ არა ვერსალელებთან, არამედ საქართველოს მუშა-გლეხებთან, ამას იოლათ აიტანს თქვენი პოლიტიკური, თეორეტიული და ადამიანური სინიდისიც.

მაგრამ ერთი კია საკითხავი: ეჰვ-მიუტანელ ჭეშმარიტებათ მიგაჩნიათ, რომ საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა, ისეთი თავისუფალი, როგორიც არ არსებობს ჯერ დედამიწის ზურგზეო. და როცა თქვენ გეკითხებიან—რატომ სასამართლოს არ ამუშავებთ კომუნისტების წინააღმდეგ, თუ კი „უტყუარი“ საბუთები გაქვთ მათ წინააღმდეგ, იმ სასამართლოს, რომლის შემადგენლობა სულ რამდენიმე წლის წინათ ნიკოლოზის ნებას ასრულებდა და მისივე „კანონებითაა“ ახლაც შეიარაღებული, აი ასეთი შეკითხვა ზოგიერთ თქვენს მსმენელთაგან რად იწვევს თქვენში, მოქალაქე მინისტრო, მწარე, სარკასტიულ ღიმილს და ასეთ ფორმულის წამოყენებას: „განა ასეთ გარდამავალ ხანაში შეიძლება სასამართლოს გზით ბრძოლა შეთქმულებთან, ლეგალურ კომუნისტურ პარტიის არა ლეგალურ მუშაობასთან“?..

თუ „სასამართლო“ მხოლოთ ანგელოზებისთვის ყოფილა დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თუ ნიკოლოზის „უგოლოვნოე ულოჟენიე“ და თქვენი სათანადო კანონმდებლობაც გასახსენებელიც არ ყოფილა, როცა კომუნისტების გაბაწვრაზე მიდგება ხოლმე საქმე, რა ფასი აქვს, რა შინაარსის მატარებელია თქვენი და თქვენი პარტიული შტაბის ფიცი „ჩვენ წმინდა იდეური ბრძოლის დამცველნი ვართ“ და „ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა კომუნისტების დევნისა ლეგალური მუშაობისთვის“-სო! ერთი შემთხვევაც არ ყოფილა! გარწმუნებთ, ჩვენ თითს მოვიკაკვავდით და ხმას გავიკმენდით, რომ „ერთ შემთხვევასაც“ მაინც დაგვანახვებდეთ ჩვენი პარტიულ ამხანაგების დანაშაულისას იმ დარგში, რომელიც თქვენი ადმინისტრატიული აღმაფრენის ფარგლებშია, რომ მაგ. მიხ. ოკუჯავა ჯარში აგიტაციას ეწეოდა, რომ დ. ლორთქიფანიძე და ა. დალაქიშვილი საყაჩაღოთ შაიკას უყრიდენ თავს (!), რომ თუნდა ერთი ჩვენი ამხანაგი მაინც იარაღს იძენდა აჯანყებისთვის და სხ. ასეთი. მაგრამ ეს ხომ ოკეთეს თუ უარეს შემთხვევაში სასამართლოს წესითაა შესაძლებელი, ე. ი. იმ წესით, რომელიც პრინციპიალურათ მიუღებელია მათთვის, ვინც კუდამელობს და თავის პატრონს კუდს იმოწმებს. უფრო იოლია პარიჟის კომუნარების მაგალითით ყოველგვარ უმზგავსოების გამართლება და თან ფუჭი ფიცი—იდეურ ბრძოლის დამცველნი ვართო! და ამავე დროს ცოტა განიავებულ პოლიტიკური ციხის კვლავ ავსება კომუნისტურ პარტიის მთელი კომიტეტებით!

P. S. ვსარგებლობთ შემთხვევით და კითხვას ვიძლევით: შინაგან სამინისტროს კანცელარიაში მოგროვილია კომუნისტების გაჩხრეკის დროს ნადავლი—ნათარგმნი და ორიგინალური ნაშრომი; ბ. მინისტრის ბრძანების თანახმათ ჩვენ უარს გვეუბნებიან ამ ლიტერატურული მასალის უკან დაბრუნებაზე, და აი საინტერესოა ავტორიტეტული განმარტება—„წმინდა იდეური ბრძოლაა“ ეს ჩვენთან, თუ ისეთი, როგორც არ გაგონილა არსად, თვით რომანოვების რუსეთში?

## ᲐᲘ ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ!

გუშინწინ ჩვენი გაზეთის რედაქციის შენობის ახლო დააკავეს და განსაკუთრებულ რაზმის სატუსაღოში მოათავსეს თბილისის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ძნელაძე და ჩვენი გაზეთის რედაქციის მდივანი ამხ. ვ. ბახტაძე. ჩვენ არ ვიცით ჯერ, რა „ბრალდება წაუყენეს მათ, ისეთი, რომელიც ნაკარნახევი აქვს ზემოდან ყოველ პოლიციელს, თუ რაიმე „ორიგინალური“. ყოველ შემთხვევაში, მენშევიკების გამარჯვება „იდეურ“ ნიადაგზე უზრუნველყოფილია, რა კი განსაკუთრებული რაზმი ყოველ დღე სათითაოდ და ჯგუფჯგუფად ხევს კომუნისტურ პარტიის პასუხისმგებელ მუშაკებს. გამარჯვებულნი დარჩებიან ბ.ბ. დევდარიანები და თეკლათელები, რაკი მათ გასაჭირის წუთს „გასაზავებლათ“ ჩაერევა ვინმე ნაგანოსანი და ჩვენი რედაქციის ხან ერთ მთავარ თანამშრომელს გაიყოლიებს თან მენშევიკების ჟანდარმერიაში, და ხან მეორეს და მესამეს. რასაკვირველია, აღარც ინტერნაციონალის გამო დაგჭირდებათ, ბატონებო, ჯერ გაურკვეველი ლუღლუღი და მერე ჩაჩუმება და მიმალვა, და აღარც სხვა საჭირბოროტო საკითხების გამო—რაკი ბ. კედიას და მის მთავარანგელოზებს ჩარევთ ხოლმე პოლემიკაში და მოწინააღმდეგეს, დღე და ღამ რედაქციის კედლებ შორის მყოფს, სატუსაღოში გაისტუმრებთ და ტრაფარეტულ „ბრალდებას“ მიახლით: აჯანყებას ამზადებდი, ან ყაჩაღთა ბრბოს მეთაურობდიო! სირცხვილის სიწითლეს არასოდეს შეუნათებია თქვენს წრეში, არ შეანათებს ახლაც, როცა თქვენი მოპირდაპირე პოლემისტი ცხრაკლიტულშია გამომწყვდეული!

## ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

„ერთობა“ მოწინავეს უძღვნის „შრომის საერთაშორისო კონფერენციას“, რომელიც ვითომ ქ. გენუაში უნდა მოხდეს, და სწერს:

„პირველი ამისთანა თათბირი, როგორც ვიცით, მოხდა ვაშინგტონში. ახლა ხდება მეორე. მაშინაც და ახლაც სათათბირო საგანს შეადგენდა და შეადგენს მუშათა კანონმდებლობა. ეჭვი არ არის, რომ ეს დიდი ორგანიზაციაა. აქ მონაწილეობას იღებს მუშათა კლასი და ერთი მიმართულების სოციალისტებიც.

ამ მოძრაობას სათავეში არ უდგას სოციალისტური ინტერნაციონალი, ის თავისით ირკვევს გზას და წინ მიდის დამოუკიდებლათ. ცხადია, რომ ეს კონფერენცია დგას კლასთა თანამშრომლობის და არა სამოქალაქო ომის ნიადაგზე.

ჩვენ არა ვართ თავის თავათ მომხრე არც გადაჭარბებული თანამშრომლობის და არც მარტო სამოქალაქო ომის, როგორც თვით მიზნის.

ბალშევიკური „მესამე ინტერნაციონალი“ აფრთხობს მუშათა წრეებს და ისინი სხვაგან ეძებენ თავშესაფარს. მოსკოვში ეწერებიან ზოგიერთი ქვეყნების სოციალისტური პარტიები, მშრომელი ხალხი კი არსად არ მისდევს ამ პარტიებს. ეს ხალხი მიდის იმ გზით, რომელსაც რუსულათ ეძახიან линія наименьшаго сопротивленія. ის ცდი-

ლობს მოლაპარაკების და შეთანხმების გზი[illegible] თხოვნილე-ბის [illegible]ს პატარ-პატ[illegible] არის რეფორ-მიზმი. ეს გამოიხატება ვაშინგტონში და ახლა უთუოთ გამოიხატა გენუაში. ეს არა სასურველი გადახრა რეფორმიზ-მისკენ ისევ ბოლშევიზმის ბრალია.

მიაღწევს თუ არა თავის მიზანს რე-რეფორმისტული გზით მუშათა კლასი? თეორეტიულათ, წიგნებიდან ვიცით, რომ ვერ მიაღწევს. მაგრამ არც ერთი თეორია, არც ერთი წიგნიდან ამონაწე-რი ჩვენ არ გადაგვიქცევია გაყინულ მრწამსათ. ყველაფერს ვუკვირდებით ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში. მსოფ-ლიო ომმა შექმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ბოლშევიკური სამოქალაქო ომი მუშათა კლასს ვერ დააყენებს მიზან-შე-წონილ ხაზზე. ჩვენ ყოველთვის გვწამს ერთი ჭეშმარიტება. მისაღებია ის, რაც ხელს უწყობს საწარმოო ძალების გან-ვითარებას, დასაგმობია ის, რაც ამას ხელს უშლის. ნურასოდეს ნუ დავივიწ-ყებთ იმ დებულებას, რომ სოციალიზმი არ მოეწყობა იქ, სადაც მოშლილია სა-წარმოო ძალები. გამოვიდეთ ამ დებუ-ლებიდან და ვსთქვათ პირდაპირ, რომ დღევანდელ პირობებში სოციალიზმისა-თვის ნიადაგი ვერ მომზადდება სამოქა-ლაქო ომით. ეს ყველაზე უფრო არღ-ვევს ამ ნიადაგს.

თავისთავად არ დაფასდება არც ერ-თი ხაზი, უნდა დაფასდეს საბოლოო მიზნის მიხედვით. სოციალიზმისკენ სა-სიარულოთ, ჩვენ ვფიქრობთ, ალბერტ ტომასთან უფრო მოსახერხებელია თან-ხმობა, ვიდრე ლენინთან.

ადვილათ შეიძლება, რომ ვაშინგტონ გენუის კონფერენციამ მისცეს მუშათა კლასს 8 საათის სამუშაო დღე და გაუმ-ჯობესებული კანონმდებლობა. ვიცით მეორე მხრით, რომ საბჭოთა რუსეთში მუშაობენ 10, 11 და 12 საათობით, და მუშათა კლასს იქ არა აქვს შრომის დამცველი კანონმდებლობა. პირველ შე-მთხვევაში მუშა ინახავს ძალებს და უნარს არ კარგავს სოციალიზმისკენ წინ სასვლელათ, მეორე შემთხვევაში ის გლახავდება გონებრივათ და ფიზიკუ-რად, და უვარგისი ხდება სოციალისტუ-რი რაზმებისათვის".

ყველა ეს იწილო-ბიწილო გაზეთს დასჭირდა იმისთვის, რომ გულნადები გამოამჟღავნოს:

„ამ საბოლოო მიზნის მიხედვით უფრო რევოლიუციონერია ალბერტ ტომა—ეს უზომიერესი სოციალისტი, და უფრო რეაქციონერია ლენინი—ეს ურევოლიუ-ციონერესი გმირი."

მაგრამ რაკი ასეთ „მეცნიერულ" დას-კვნას ცოტა არ იყოს საეჭვო სუნი უდის, გაზეთიც „დუხს" ასხამს თავის ნათქვამს და წარმოიდგინეთ, სოცია-ლიზს და რევოლიუციასაც კი ახსენებს:

„დღევანდელი საერთაშორისო მდგო-მარეობა ისეთია, რომ სოციალიზმის გარეთ არ სჩანს გამოსავალი გზა. იმავე დროს სოციალისტური გზის გამონახვა არასოდეს არ ყოფილა ისე ძნელი, რო-გორც დღეს. მის გამოსანახავათ საჭი-როა მეტათ რთული და მოქნილი ტაქ-ტიკა. საჭიროა ისეთი ტაქტიკა, რომე-ლიც ცოტათ თუ ბევრათ ხელს უწყობს შემოქმედებით მუშაობას და რომელიც ასე თუ ისე ხელს უშლის დამანგრეველ პოლიტიკას. გენუის კონფერენცია, თუნ-და ის იდგეს არა სასურველ, რეფორ-მისტულ გზაზე, მაინც ადრე თუ გვიან გამოიყვანს მუშათა კლასს ნამდვილ რე-ვოლიუციონურ გზისკენ."

ეს, რასაკვირველია, ცხრამთას ჭკუით მყოფ ხალხისთვის, უცხოელ ქვეშევრ-დომებისთვის „ხოლო შენწევიკების ასბრ-ძანებლოში" კი განსაკუთრებული რაზმი იქნება სულის ჩამდგმელი დემოკრატიის, რომელიც საბოლოო მიზანს მხოლოდ პარაკლისებზე გაიხსენებს.

* *

ბ. დევდარიანი, რაკი მარქს-ენგელსის ციტატებზე ტუჩი (თუ კუდი) დაიწვა, ხელახლა კიდებს ხელს უფრო შემოსავ-ლიან ხელობას, რუსეთის სინამდვილის განქიქებას. ის მეტყველებს:

„საბჭოთა" რუსეთის ბრბომ სოციალიზ-მი გადააქცია უმრავლო ძარცვის მოძ-ღვრებათ. აგერ ხელში მაქვს ხარკოვის „კომუნისტი" 8 ივნისის 1920 წ. აქ აწე-რილია ერთი საძაგელი ღამე. 5 ივნისს ღამით მოუხდენიათ მთელ ქალაქში ჩხრე-კა. აღმოუჩენიათ, სხვათა შორის, მსხვი-ლი სპეკულიანტები თავისივე მოხელეებ-ში.—აუარებელი ტანსაცმელი, საცვალი, ფეხსაცმელი წავართვით ამ ღამეს ბურ-ჟუაზიასო,—სწერს ერთი ბალშევიკი ამ ერთი გაზეთის ერთი გვერდი კმარა ბა-ლშევიკური „სოციალიზმის" დასახასია-თებლად. ბალშევიკები თავისი ეკონო-მიური პოლიტიკით ქმნიან ახალ ბურ-ჟუაზიას, რომელსაც დროგამოშვებით თითონვე თავს ესხმიან. ართმევენ წარ-თმეულს, მერე არიგებენ და ამით ინა-ხავენ თავის ბანაკში შეუგნებელ გაჭირ-ვეულებს.

ეს არის ის ჰია, რომელიც ლენინის რევოლიუციას. ჩვენ არ გვინდა ამისთანა „რევოლიუციონერობა", თუ ეს რევოლი-უციაა, ჩვენ კონტრ-რევოლიუციონერები ვართ".

ვეშიშობთ, რომ მკითხველი სულაც არ მიიღებს ხუმრობათ ბ. დევ-ანის გან-ცხადებას კონტრ-რევოლიუციონერობის შესახებ. გამელავნებულ კაჩუბოვების, მაღლაკელიძეების და ვაჩეიშვილების და სხვა და სხვა ქვეყანაში ეს არც ისე ძნელია. რაც შეეხება რუსეთს, მოგე-ხსენებათ ღირსეულო, რომ ის მილიო-ნიან ქვეყანაში, რომელსაც 300 წელი-წადი მეფე ჯიჯგნიდა, რომელიც ოთხი წლის ყაჩაღურ ომში ცურავდა, ქურდო-ბა და ყაჩაღობა ვერ ამოიფხვრებოდა ორიოდე წელიწადში, და ისიც ისეთ ჯოჯოხეთურ პირობებში, რომელშიაც ჩააყენა რუსეთი იმპერიალისტურ მგლე-ბის ბლოკადამ. და მთავარი საკითხი ისაა—სად უფრო უსვამენ თავზე ხელს ასეთ ავარა ხალხს, სად შეეძლიან მათ პარტიული ავტორიტეტების მოწმობით. გაგეგონებათ, „ჩრეზვიჩაიკა" ძლიერ ხშირათ აყუდებს კედელზე და ხვრეტს კომუნისტებს იმავე დანაშაულისათვის, რომლის გამო არაკომუნისტებს არ სჯიან სიკვდილით. თქვენი პარტიის ყაჩაღების დახვრეტას სულაც არ ვნატრობთ, მარა გეკითხებით—რამდენი მათგანია ციხეში მაინც? ისიც გაგეგონებათ დინჯო მკვლე-ვარო, რომ კომუნისტური პარტია არ მალავს თავის წევრების დანაშაულობას და საჯაროთ გამოაქვს თავის სიბზდებ-ზე და აქვეყნებს ოქმებში. გვიჩვენეთ სამისო მაგალითი ქართველ სოც.-დე-მოკრატიის პარტიულ ცხოვრებიდან, მის სიბზდების პრაქტიკიდან.

ბოლოს ბ. დევ-ნი, რომელიც წინათ ქადაგებდა—პროლეტარიატის დიქტა-ტურა მხოლოდ გზის მანათობელ ვარ-სკვლავია ჯერ ჩვენთვის, რომ პარიზის კომუნა უნდა დავისახოთ მიზნათო, ახლა ერთი სულის მოთქმით ამბობს:

„მუშათა კლასის დიქტატურა არის აქ—საქართველოში. ამ დიქტატურის სული უარყოფა არის იქ—რუსეთში".

ჰაეროპლანითაც [illegible] დაეწევი[illegible] „მკვლევარს", პეპელასავით რომ ფრი-ნავს ერთი ბუჩქიდან მეორეზე.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## საბჭოთა რუსეთში.

### დონის ფულის გაუქმება.

**კავკავი**, 14 ივლისი. გამოქვეყნდა ჩრდილო-კავკასიის რევოლიუციური კო-მიტეტის ამ წლის 5 ივლისის ბრძანება № 181, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისარია-ტის ფინანსიურ განყოფილების დადგე-ნილების ძალით რაკი მცხოვრებნი და-ჟინებით უარს ამბობენ დენიკინის მთავ-რობის მიერ გამოშვებულ ფულის ნიშ-ნებზე, ჩრდილო-კავკასიის რევოლიუცი-ური კომიტეტი ამით აცხადებს, რომ სამხრეთ რუსეთის და დონის როსტოვის სარდლობას და სახელმწიფო ბანკის ყველანაირი ნიშნის ფული გაუქმებულ—გაბათილებულია.

ამ ფულის ნიშნებით არც ვაჭრობა და არც რაიმე კომპენსაციების მოხდენა არავის არ შეუძლია, გარდა წითელ—არმიელებისა, რომელთაც ნება ეძლევათ თავიანთ ნაწილებში გამოიყენონ ეს ფუ-ლი და იმ ზომით, რა ზომასაც უდრის მათი ორკვირეული ჯამაგირი.

### პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

**მოგილევი**, 2 ივლ. ქალაქის საწარმო-ო დაწესებულებების მუშების გაფიცვა ფართოვდება. ბურჟუაზიული პრესა უკ-მაყოფილოა პოლიცია საჭირო ზომებს არ იღებს და ბალშევიკებს ლმობიერათ ეპყრობაო. ვარშავაში პური შემოაკლ-დათ ყველა მეპურეების გაფიცვის გამო, მრავალი ხალხი გაზეთ „პორანის" სი-ტყვით, რკინის გზის სადგურებზე სპე-კულიანტებს ელის, რომელთაგან ისინი პურს მოელიან. გაზ. „რუსეთის თავი-სუფლება" გაფიცვის მიზეზებს ასახელე-ბენ და სწერს: „საყოველთაო გაფიცვამ 10 დღით დროებით ზავის ჩამოგდების და საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების მოთხოვნის ნიადაგზე იფეთქა".

სურსათის ნაკლებობა და სპეკულია-ცია იქამდე მივიდა პოლონეთში, რომ ამის გამო ბურჟუაზიული პრესა ვაჭრო-ბის თავისუფლების შეზღუდვას მოით-ხოვს. პოლონეთის ფულის კურსი დღი-თი დღე ეცემა და პილსუდსკის მთავრო-ბა ყოველ ზომას ღებულობს, რომ პო-ლონური მარკის კურსი ასწიოს, ხოლო ბურჟუაზიული გაზეთები ამ ზომას და-ცინვით შეხვდნენ.

**ვიტებსკი**, 3 ივლისი. ბევრ ალაგას, სადაც ოკუპაციაა გამოცხადებული და სადაც ლიტვინელები ცხოვრობენ უმე-ტესათ, კარგი მოსავალია. რაკი პოლო-ნელები თავს ლიტვაში და ბელორუსია-ში სუსტათ გრძნობენ, ამიტომ ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ნადავ-ლი მოიგდონ ხელში და ნაძარცვი დრო-ზე გაიტანონ იქედან.

### ორი მილ. არშინი მანუფაქტურა

**ეკატერინოდარი**, ეკატერინოდარში მოვიდა ორი მილიონი არშინი მანუფაქ-ტურა, რომელიც განაწილებული იქნება სტანიცის მცხოვრებთა შორის.

### ვლადივასტოკის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოში.

**ომსკი**, 1 ივლისი. ვლადივასტოკის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს გახსნის სხდომაზე გამოვიდენ პოლიტი-კურ დეკლარაციებით სხვა და სხვა პარ-ტიების წარმომადგენლები.

კომუნისტების შორეულ-აღმოსავლეთის კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. გუ-ბელმანმა განაცხადა: „ჩვენ აქ 2 წლის განმავლობაში ვცხოვრობდით მარტო მოსკოვის იმედით და გვწამდა, რომ მოსკოვი გაგვანთავისუფლებდა ჩვენ კოლჩაკის საშინელ ბრჭყალებისაგან. კოლჩაკი დაემხო. მაგრამ ჩვენი სრული გამარჯვება მაშინ იქნება, როდესაც მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ჩაიგ-დებს ძალა-უფლებას თავის ხელში. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ აქ ცენტრის დირექ-ტივებით, და ჩვენ, როგორც კომუნის-ტური პარტია არასოდეს არ აუხვევთ ცენტრის დირექტივებს მოსკოვიდან".

სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი ამხ. ლაზო აცხადებს: „დიდი ხნის შემ-

---

# ზარი.

(მესამე ინტერნაც. მეორე კონგრესზე)

გუგუნებს ზარი...
ცა იწმენდს კალთებს,
გულის ღილს იხსნის,
აშუქ-ანათებს.

იცინის ზეცა,
ტანთ იხდის ძაძებს,
გადაუკიდებს
მხრებზე მაღალ მთებს...

გუგუნებს ზარი...
იცინის ზეცა,
ხარობს მთა-ბარი,
ვიცინი მეცა...

ცეკვაა ცაში,
ცეკვაა სოფლათ,
შორს მარტოობა!
აღარ ვარ ობლათ!

გუგუნებს ზარი...
მეფობს მნათობი,
ხარობს მთა-ბარი,
მზითა ნათრობი,

დამარცხდა ღამე,
ჰკივის: „ვაი მე"!
„გეყო სინითლევ,
რაც რომ მაწამე!"

გუგუნებს ზარი...
მიწა ირღვევა,
ქვესკნელს ყოფილა
ბნელი ქვეყანა.

იქ მოიფინოს
უნდა სინათლე,
ამას თხოულობს
მზისა სიმართლე:

გუგუნებს ზარი...
იცინის ზეცა,
ხარობს მთა-ბარი,
ვიცინი მეცა.

ცეკვაა ცაში
ცეკვაა სოფლათ.
შორს მარტოობა!
აღარ ვარ ობლათ!

სანდრო ეული.

17 ივლისი.

---

# კომუნისტური ინტერნაციონალი.

**მოწოდება სპარსეთის, სომხეთის და ოსმალეთის დამონავებული ხალხთა მასსებისადმი.**

კომუნისტური ინტერნაციონალის აღ-მასრულებელი კომიტეტი იწვევს 15 აგ-ვისტოს 1920 წ. ბაქოში სპარსეთის, სომხეთის და ოსმალეთის მუშათა და გლეხთა კონგრესს.

რა არის კომუნისტური ინტერნაცი-ონალი? ესაა ორგანიზაცია მშრომელთა მასსების რუსეთისა, პოლონეთისა, გერ-მანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა და ამერიკისა, რომელნიც გამოღვიძებულან რა მსოფლიო ომის გრუხინის ზეგავ-ლენით და შიმშილით ამოძრავებულნი, აღსდგენ, რათა აღარ იმუშაონ ამიერი-დან მდიდრებისთვის, არამედ მხოლოთ თავის თავისთვის, და რათა აღარ აი-ღონ ამიერიდან იარაღი თავიანთ განა-წამებ და გაღატაკებულ ძმების წინააღ-მდეგ, მოიხმაროს იგი საკუთარ თავის დასაცავათ მტაცებელთა წინააღმდეგ. ამ მშრომელთა მასსებმა შეიგნეს, რომ მათი ძალა მხოლოდ ერთობაში და შე-კავშირებაშია, რომ მხოლოთ ესაა თავ-დები მათი გამარჯვების, და ამიტომაც გასულ წელს მათ დაარსეს მათთვის სა-ჭირო ორგანიზაცია—მესამე ინტერნა-ციონალის სახით. ეს ინტერნაციონალი მიუხედავათ კაპიტალისტურ მთავრობე-ბის ათასგვარ დევნისა, თავის არსებო-ბის 1 ნახევ. წლის განმავლობაში გა-დაიქცა სულის ჩამდგმელათ ყველა იმ რევოლიუციონურ მუშათა და გლეხთა, რომელნიც მთელი დედამიწის ზურგზე მიისწრაფიან განთავისუფლებისაკენ.

მაშ რატომ იწვევს ახლა კომუნისტური ინტერნაციონალი კონგრესს სპარსელ, სომეხ და ოსმალო მუშა-გლეხობისას, რას პირდება ის მათ, რას მოითხოვს ის მათგან? ევროპის და ამერიკის მუშე-ბი და გლეხები, რომლებიც ებრძვიან კაპიტალს, მოგმართავენ თქვენ იმიტომ, როცა თქვენ მათსავით განწვალებული ხართ მსოფლიო კაპიტალიზმის უღელ-ქვეშ, მათსავით იძულებული ხართ შე-ებრძოლოთ მსოფლიო მტაცებლებს; იმი-ტომ რომ თქვენი შეერთება ევროპის და ამერიკის მუშა-გლეხებთან დააჩქა-რებს მსოფლიო კაპიტალიზმის დალუპ-ვას და უზრუნველყოფს მთელი მსოფ-ლიოს მუშების და გლეხების განთავისუფ-ლებას.

**გლეხებო და მუშებო სპარსეთისა!** თეირანის კაჯართა მთავრობა და მისი მსახურნი—პროვინციის ხანები—საუკუ-ნოების განმავლობაში გცარცვავდენ თქვენ და თქვენს ექსპლოატაციას ეწე-ოდენ. მიწა მითვისებული ქონდათ თეი-რანის მთავრობის ლაქიებს. მათ განკარ-გულებაშია ეს მიწა ახლაც, თქვენ გა-დასახადებით გბეგრავენ თავის შეხედუ-ლებისამებრ და, რაკი სავსებით გამო-სწოვეს ქვეყანას სასიცოცხლო წვენი და მიიყვანეს ის სიღატაკე-განადგურების კარამდე, ბოლოს შარშან მიჰყიდეს სპარსეთი ინგლისის კაპიტალისტებს 2 მილიონ გირვანქა სტერლინგათ იმ პი-რობით, რომ მათ მოაწყონ სპარსეთში ჯარი, რომელიც წინადელზე უფრო შე-გავიწროებს თქვენ, გამოგქაჩავთ გადა-სახადებს ხანების და თეირანის მთავ-რობის სასარგებლოთ. მათ მიჰყიდეს ინგლისს სამხრეთ სპარსეთის ნავთიანი ადგილები, რითაც ხელი შეუწყეს თქვენს გაცარცვას.

**გლეხებო მესოპოტამიისა!** ინგლისე-ლებმა თქვენი ქვეყანა დამოუკიდებლათ გამოაცხადეს; მარა 80000 ინგლისელი სალდათი დგას თქვენს მიწა-წყალზე, გცარცვავენ და გკლავენ თქვენ, აუპა-ტიურებენ თქვენს ცოლებს.

**გლეხებო ანატოლიისა!** ინგლისის, იტალიის და საფრანგეთის მთავრობებს კონსტანტინოპოლი თავიანთ ზარბაზნე-ბის ცეცხლში ქონდათ გახვეული, მათ დაატყვევეს სულთანი და აიძულეს ის დათანხმებულიყო წმინდა ოსმალურ კუ-თხეების დაქუცმაცებაზე და ოსმალეთის ფინანსების გადაცემაზე უცხოელ ფინან-სისტების განკარგულებაში, რათა უფრო ადვილათ გაეცარცვათ 6 წლის ომით გაღატაკებული ოსმალეთის ხალხი. მათ დაიკავეს ჰერაკლეის ქვანახშირის მაღა-როები და თქვენი საზღვაო ნავთსადგუ-რები, აგზავნიან თქვენს ქვეყანაში თა-ვის ჯარებს, ანადგურებენ თქვენს ყა-ნებს, გიკარნახებენ თავის კანონებს, რომლებიც სავსებით უცხოა მშვიდობია-ნობის მოყვარე ოსმალო გლეხისთვის, სურთ გადაგაქც. თქვენ სახედ საქონლათ, რომელსაც დატვირთავენ რითაც კი მოესურვებათ. თქვენი ბეგების და ეფენ-დიების ნაწილი მიეყიდა უცხოელ კაპი-ტალისტებს, მეორე ნაწილი კი გი-ხმობს თქვენ თოფის ასაღებათ მომხ-დურთ უცხოელთა წინააღმდეგ საბრძოლ-ველათ, ხოლო არ განებებენ თქვენ ძა-ლაუფლების დაპატრონებას საკუთარ ქვეყანაში, არ განებებენ ისარგებლოთ იმ მიწებით და მინდვრებით, რომლი-თაც სულთანს დაუსაჩუქრებია სხვა და სხვა მუქთახორები, და დათესოთ ეს ყა-ნები თქვენი საკუთარი საჭიროებისა-თვის. და ხვალ, როცა უცხო კაპიტა-ლისტები მორიგდებიან თქვენს დამპყ-რობლებთან უფრო ნაკლებ მკაცრ საზა-ვო პირობების შესახებ, თქვენი ახლან-დელი წინამძღოლები ისარგებლებენ ამით, რათა დაგადვან თქვენ ახალი ბორკილები, როგორც ამას შვებიან უცხოელთა ჯარებით მკვიდრათ დაკავე-ბულ ადგილებში შემამულეები და ყო-ფილი მოხელეები.

**გლეხებო და მუშებო სომხეთისა!** მრავალ წელთა განმავლობაში თქვენ მსხვერპლი იყავით უცხოელთა კაპიტა-ლის, რომელიც გრძნეთ ლაყმობდა ქურ-თების მიერ სომხების ჟლეტაზე, რომე-ლიც მოგიწოდებდა თქვენ სულთანის წინააღმდეგ საბრძოლველათ და რომე-ლიც სულ ახალ და ახალ მოგებას იძენ-და თავასთვის ამ თვენი ბრძოლიდან. ომის დროს მათ არა მარტო დაგპირ-დენ თქვენ დამოუკიდებლობა, არამედ წააქეზეს კიდეც თქვენი მასწავლებლები, ხუცები, ვაჭრები მოეთხოვათ თავის-თვის ოსმალო გლეხების მიწები, რათა ამით ჩათესილიყო საუკუნო ბრძოლა ოსმალეთის და სომხეთის ხალხებ შო-რის, რომლიდანაც მათ უზრუნველყო-ფილი ექნებოდათ საუკუნოთ გამორჩე-ნა, ვინაიდან სანამ თქვენ შუა გრძელ-დება ეს ქიშპი, უცხოელი კაპიტალის-ტები მუდამ გამორჩენაში იქნებიან—ოსმალეთს დააშინებენ სომხეთის აჯან-ყების საფრთხით, ხოლო სომხებს ქურ-თების პაგრომებით.

**გლეხებო სირიისა და არაბეთისა!** ინგლისელებმა და ფრანგებმა დაგპირ-დენ თქვენ დამოუკიდებლობა, ახლა კი მათ ჯარებმა დაიკავეს თქვენი ქვეყანა, ისინი გიკარნახებენ თქვენ თავიანთ კა-ნონებს, და თქვენ, ოსმალეთის სულთა-ნისაგან და მთავრობისაგან გათავისუფ-ლებულნი, გადაიქეცით ახლა მონებათ პარიჟის და ლონდონის მთავრობებისა, რომლებიც მხოლოთ მით განირჩევიან სულთანის მთავრობისაგან, რომ უფრო მაგრათ ყავხართ ჩაჭერილი ხელში და უარესათ გცარცავენ.

თქვენ თითონ კარგათ გესმით ყოველ-ლივე ეს. სპარსეთის გლეხები და მუშე-ბი აჯანყდენ მოღალატურ თეირანის მთავრობის წინააღმდეგ. მესოპოტამიის გლეხები იწყებენ ამბოხებას ინგლისე-ლების ოკუპაციურ ჯარების წინააღმდეგ და ინგლისის გაზეთები აქვეყნებენ იმ დანაკარგების შესახებ, რომელიც ინგლი-სის ჯარებმა განიცადეს აჯანყებულებ-თან ბრძოლაში ქ. ბაგდადის მიდამოებში.

**გლეხებო ანატოლიისა!** თქვენ დაგი-ნებით გიხმობენ ქემალ ფაშის დროშებ ქვეშ უცხოელთა შემოსევის წინააღმდეგ საბრძოლველათ, მარა იმავე დროს ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ცდილობთ თავის საკუთარ ხალხურ პარტიის, თავის საკუ-თარ გლეხურ პარტიის შედგენას, რო-მელსაც შეეძლება ბრძოლის გაგრძელება იმ შემთხვევაშიც, თქვენმა ფაშებმა ზა-ვიც რო შეკრან ანტანტას მტაცებლებ-თან.

სირიაში არ ხერხდება მშვიდობიანო-ბის ჩამოგდება და თქვენ, სომეხ გლეხე-ბო, რომელთაც ინგლისი, მიუხედავათ თავისი დაპირებებისა, გწირავთ შიმში-ლით სიკვდილზე, რათა უფრო მაგრათ ჩაგიჭიროსთ ხელში, თქვენ უფრო და უფრო ხედავთ, რომ სრულიად უაზროა

„არც ერთ წარმომადგენლობით კრებას, თუ გინდ დემოკრატიული წესით იყოს ის არჩეული, თუ გინდ კონვენტი, არ შეუძლია რევოლიუციონური იყოს გარედან ზედმიწოლას თუ არ განიცდის... კონფლიკტები შიგნით არაფერს არ ნიშნავს, საჭიროა გარედან მიწოლა“.

**ნ. ჟორდანია. რუს. სოც.-დემ. პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის ოქმები, გვ. 289.**

---

დეგ, ჩვენ ისევ მოგვეცა შეძლება დავიწყოთ აშკარა მუშაობა. აქ ვლადივასტოკში, ინტერვენციის გულში, ჩვენი სხდომები საერთაშორისო რევოლიუციის ძლევამოსილობის მაჩვენებელია. რეაქცია ემხობა საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობის იერიშებით. ჯარების შეკავშირებას წითელი დროშის ქვეშ გამარჯვება მოაქვს ჩვენთვის. მაგრამ ჩვენი უმთავრესი ძალა ხიშტში კი არა, არამედ იდეიაშია“.

მენშევიკების პარტიის სახელით ლაპარაკობს ამხ. ლორენცი: „მუშურ-გლეხური რევოლიუციის ტალღამ წალეკა ციმბირის კონტრ-რევოლიუციის ძირმომპალი საფუძველი. დღევანდელი დღის ამოცანაა არა იმის გამორკვევა, თუ რამ გაგვთიშა ჩვენ, აქამდის, თუ რამ გაგვაერთიანა ახლა. ჩვენ მოგვიხდება უპირველეს ყოვლისა შინაურ რეაქციასთან ბრძოლა. მხოლოდ ერთად ერთ საბჭოთა მთავრობას შეუძლია შექმნილ აგრესიულ პირობებში დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი.

რ. ს.-დ. მ. პ. ყოველ მხრივათ ხელს შეუწყობს საბჭოთა მთავრობის გამაგრებას, რომელიც ერთად-ერთი მტკიცე ძალაა, რომელსაც შეუძლია დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი.

„კუბ. მაზრის კუსარის უბნის პირველი გლეხების ყრილობა, შეიკრიბა რა დღეს, პირველ საზეიმო სხდომაზე მოგესალმებათ თქვენ, როგორც ხელმძღვანელს და მებრძოლ გლეხების იდეალებისთვის. ვიცით რა რომ თქვენში ნახა ყრილობამ საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი, გირჩევთ თქვენ ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ. გიძღვნით რა თქვენ მხურვალე სალამს ყრილობა, ამით ის ესალმება მთელ ბაქოს პროლეტარიატს, აზერბ. სოციალის. საბჭოთა რესპუბლიკის რევკომს, მუშათა, გლეხთა და მატროსების დეპუტატების საბჭოს და აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას“.

### შაქრის ქარხანა ბაქოში.

სურსათის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს ბაქოში შაქრის ქარხანა. შაქარი დამუშავებულ იქნება სიმინდიდან, რომელიც ამ ჟამად ბლომად არის. დღეში დაამუშავებენ 200 ფუთ შაქარს.

### ღვინის მაგიერ.

წელს ყურძნის მთელი მოსავალი 6 მილიონ ფუთამდის გამოყენებული იქნება სახმეურ საბის (სახალხო მეურნეობის საბჭოს) ქიმ. განყოფილების მიერ შარბათის და სამკურნალო ნივთიერებათა დასამზადებლათ.

## საზღვარ გარეთ

### ამხ. ლენინის წერილი.

**ქრისტიანია**, 3 ივლისი. ამხ. ლენინის წერილი ბრიტანიის მუშების მიმართ გამოქვეყნებულია შემდეგ გაზეთებში: „დეილი გეროლდში“, „ტაიმსში“ და „მანჩესტერ გარდიენში.“

### ბერლინის შრომის კონფერენცია.

**ნაუენი**, 2 ივლისი. ბერლინის შრომის კონფედერაცია გზავნის რუსეთში კომისიას რუსეთ-გერმანიის ვაჭრობის განვითარებას და რუსეთში გერმანიის გამოცდილ მუშების ემიგრაციის შესაძლებლობის გამოსარკვევათ.

### უმუშევრობა გერმანიაში.

**ნაუენი**, 2 ივლისი. ბერლინის შრომის კონფერენციამ გადასწყვიტა გერმანიაში მოსალოდნელ ფართო უმუშევრობის გამო, რომელიც გამოწვეულია წარმოების დაცემით, მოაწყოს ბერლინის მუშების გრანდიოზულ დემონსტრაცია და მიიპყროს მთავრობის და მეპატრონეების ყურადღება, რათა მიიღონ ზომები ქარხნების სრულიად ან ნაწილობრივად დახურის წინააღდეგ.

# ინტერნაციონალის გარშემო

### ბრაზილიის მუშები მე-III ინტერნ. ცნობენ

ბრაზილიის მუშათა ყრილობამ, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში მოხდა, მიიღო რეზოლიუცია მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

„მე-3 ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპები, ნათქვამია ერთ რეზოლიუციაში მისაღებია მთელი მსოფლიოს მუშებისთვის.“ ყრილობა აერთიანებს 500. 000 მეტ მუშას. ამავე ყრილობამ გადაწყვეტილება გამოიტანა მოაწყოს პირველ მაისს საყოველთაო გაფიცვა, აღმასრულებელს კომიტეტს კი დაევალა მოიწვიოს სამხრეთ ამერიკის ყველა ქვეყნის მუშათა ყრილობა.

### სლოვაკიის დ ჰუნგრეთის სოც.-დემოკრატები მე-3 ინტ. უერთდებიან.

გერმანელ სლოვაკელ და ჰუნგრელ მემარცხენე სოციალ- დემოკრატებმა დაადგინეს ახლა ხან მომხდარ კონფერენციაში შეუერთდენ მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

### ისპანიის სოციალისტები.

ისპანიის სოციალისტების კრებამ 8 ათასი ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 5. 700-სა გადასწყვიტა შევიდეს მე-3 ინტერნაციონალში.

### გერმანიის დამოუკიდებლები მოსკოვში.

ქრისტიანია, 2 ივლისი. გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 19 ივნისის სხდომაზედ აირჩია მოსკოვში დელეგატებათ: კრისპინი, დეიმიგი, დიტმანი და შტოკერი.

# ახალი ამბები

— გუშინ წინ 15 ივლისს, ნაშუადღევის 4-ნახ. საათზე, დაატუსაღეს საგანგებო რაზმის აგენტებმა თავისუფლების მოედანზე ჩვენი გაზეთის თანამშრომელი და მდივანი ამხ. **ვარლამ ბახტაძე** და ჩვენი პარტიის თბილისის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ვარლამ ძნელაძე**. ბრალდებათ წამოუყენის ..., რომ კომუნისტები არიან.

**რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში ამხ. კიროვმა** ინახულა იტალიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბ. მერკანტელი და ხანგრძლივი საუბარი ქონდა მასთან.

**შავი ზღვის სანაპიროების განმანთ. კომიტეტის შესახებ.** რ. ს. ფ. ს. რ. სრულ-უფლებიან წარმომადგენლობასთან არსებული პრეს-ბიურო საქართველოში აცხადებს, რომ ქართულ პრესაში მოთავსებული ცნობა შავის ზღვის სანაპიროების განმანთავისუფლებელ კომიტეტის დახვრეტის შესახებ და კერძოთ მოქ. ჩაიკინის და ფილიპოვსკი-საშხრინისა, არ შეესაბამება სინამდვილეს. მოქ. ჩაიკინი იმყოფება მოსკოვში თავისუფლად. ფილიპოვსკი და აგრეთვე ზოგიერთი სხვა წევრები განმანთ. კომიტეტისა დატუსაღებული არიან როსტოვში საბჭოების წინააღმდეგ აგიტაციისათვის.

**რუსეთ-საქართველოს საზღვრების შერეულ კომისიაში.** რუსეთის დელეგაცია, რომელიც რუსეთ-საქართველოს საზღვრების და სამხედრო გარანტიების შერეულ კომისიაში მუშაობს, აქვეყნებს ს. დ. საავ. ცნობა შერეულ კომისიის ფოთში გამგზავრებაზე, ეტყობა, არა სარწმუნო წყაროდან არის მიღებული. იმ—პირთა რეგისტრაცია, რომელთაც, რომლებიც დღეს საინტერვენციო ბანაკში იმყოფებიან და სურთ საბჭოთა რუსეთში წასვლა, სულაც არ შეადგენს ხელშეკრულებით, შერეული კომისიის ფუნქციას; ის ხდებოდეს მხოლოთ რუსეთის დელეგაციის რწმუნებულის ხელმძღვანელობით, რომელსაც დღემდე არავისთვის და არც ბეჭდვითი ორგანოებისათვის ამაზე ცნობა არ მიუცია. რუსეთის დელეგაციის რწმუნებულს ფოთში შეეძლო ცნობა მიეღო დაახლოებით ას ოც კაცისგან, რომლებიც საინტერვენციო ბანაკში იმყოფებიან და რომლებიც რუსეთში დაბრუნების სურვილს აცხადებენ; მაგრამ რწმუნებულებმა შესაძლებლათ ცვნეს მათ შორის მხოლოთ ოცი კაცისგან მიიღონ ცნობა შეკითხვებზე. ფოთში დაბანაკებულთა საერთო რიცხვის გამორკვევა არ მოუხერხდა. შეიტყვეს, მხოლოთ, რომ საბჭოთა რუსეთში გასვლის მსურველთა უმრავლესობა ნავთსადგურში მუშაობს და კიდევ სადღაც სხვაგან. მაგრამ მათთან კავშირის დაჭერა და მათი გამოკითხვის ნება რწმუნებულებს არ დართეს. სხვათაშორის გავიგეთ, რომ რწმუნებულებს ფოთში ჩასვლის ორი დღით წინ 126 კაცი, რომელთაც რუსეთში გადასვლა სურდათ, ფოთიდან გაიყვანეს?

### რკინის გზის გაფუჭება ახ.-სენაკსა და ხეთა შუა.

**სადგური ხეთა.** 15 ივლისს დილის 11 საათზე შავი ზღვის მთელ ნაპირზე დიდი წვიმა დაიწყო, რომელიც საღამოს კოკისპირულ წვიმად გადაიქცა. ამიტომ რკინის გზა ახალ სენაკის და ხეთას შორის 19 ვერსის მანძილზე გაფუჭებული აღმოჩნდა. საღამოს 6 საათზე მისვლა-მოსვლა შეწყდა. წვიმა კიდევ გრძელდება. ზარალი დიდია. გზის აღსადგენათ ყველა ზომებია მიღებული.

**ქართველი ტყვეები გერმანიაში.** საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილია სია ტყვე ქართველებისა, რომლებიც გერმანიაში იმყოფებიან. თანახმათ ამ სიისა გერმანიაში შემდეგი პირები იმყოფებიან: ქოსაშვილი გაბრიელი, ნეფარაძე ალექსანდრე, ოდიშარია თევდორე, კვარიხელია ლუკა, ჩიკვაძე ონისიმე, ერიშვილი ვასილი, ფუხაევი-ფუხაშვილი არჩილი, ციპლუგინ-სარიშვილი, სიდორი, ბერეკაშვილი სერგო, მარგველაშვილი თედორე ნიკურაძე ისიდორე, ჩხეიძე ვარლამი, კაკიშვილი თომა, გალარშაძე დავითი, შამაშვილი ზაქარია, ქინქლაძე ვასილი, კაპლაძე ღენტორი, იორაშვილი დავითი, გარაყანიძე ლევანი, ალადაშვილი იოსებ. ზავიალოვი გიორგი, კოზმავა არჩილი, დათაშვილი თედორე, კირვალიძე ილია, ჩიხლაძე ონისიმე, აბულოშვილი თედორე ბალაიშვილი აბრამი, ფარჩაშვილი სიმონი, გორაძე ილია გეორგობიანი ანტონი, შაშაშვილი გიორგი, ჩოჩუა გიორგი, ებრაელიძე აპოლონი, ხოსროშვილი გიორგი, გაბ[illegible] იოია, ცერცვაძე კონსტანტ[illegible] ნაჩიძე ილია, ნემსაძე ივანი [illegible]ძე ალექსანდრე, საგინ[illegible] ნიკიფორე, გურჯუკელაშვილი ალექსი, ჯაჯანიშვილი მოსე, მაისალაძე ალექსი, გაგუა დავითი [illegible]ჩავა მიხეილი, გობრონიძე [illegible], ტალიკაძე იონა, ზ[illegible] ალექსი. ბასილაშვილი იორდანე, მეტრეველი დიანოსი, კაბალაშვილი ტარასი, კაპძიძგიშვილი ალექსი, გიგოლაშვილი ივანე, მოდებაძე ილარიონი, გოშლაშვილი ილარიონი, საგინაშვილი ქრისტიანე, ზედგენიძე ტიმოთე, კალაშვილი საბა, ნანიკაშვილი იოსები, სუხტაშვილი ფილიპე, დათაშვილი სიმონი, ჯაფარიძე ილია, ბაიაშვილი კონსტანტინე, ბათაშვილი მინგილი, დაუჯანია ალექსანდრე, ფხაკაძ სევერიანე? დარჩიაშვილი ივანე, მანჯგალაძე სამხარაშვილი, გიგოლაძე გორზია ელია.

## საბჭოთა აზერბაიჯანში.

### გლეხების ყრილობის მისალმება.

რევკომის თავმჯ დომარემ ამხ. ნარიმანოვმა მიიღო 28 ივნისს შემდეგი დეპეშა:

---

იმედი ინგლისის დახმარებით თქვენს გადარჩენაზე. თქვენი ბურჟუაზიული მთავრობაც კი, დაშნაკელთა პარტია, ეს ლაქიები ინგლისის, იძულებულია მიმართოს რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობას ზავის ჩამოგდების და დახმარების თხოვნით. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენ თითონ იწყებთ თქვენი საჭიროების შეგნებას, და ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, როგორც ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენელნი, ჩვენს ბრძოლაში შეძენილ უდიდეს გამოცდილებით აღჭურვილნი, თქვენი გათავისუფლების საქმეში დახმარების მიზნით. ჩვენ გეუბნებით: სამუდამოთ წავიდა ის დრო, როცა ევროპის და ამერიკის კაპიტალისტებს შეეძლოთ თქვენი დათრგუნვა იარაღით. ყველგან ევროპაშიც და ამერიკაშიც დგებიან მუშები და იარაღით ხელში უმკლავდებიან კაპიტალისტებს და აწარმოებენ მათ წინააღმდეგ სისხლის მღვრელ ბრძოლას.

მსოფლიო პროლეტარიატს ჯერ არ გაუმარჯვია, მარა კაპიტალისტებს უკვე აღარ შესწევს ძალა თავის შეხედულებისამებრ აქციონ ხალხის სისხლი. 2 ნახ. წლის განმავლობაში რუსეთის რევოლიუცია იბრძვის მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის კაპიტალისტები. ცდილობდენ ყველა საშუალებით: იარაღით და შიმშილით დაემარცხებიათ და დაემორჩილებიათ რუსის მუშა და გლეხი, მოეჭირათ ყელზე მარყუჟი, გაეხადათ ისინი თავიანთ მონებათ. მარა ეს ვერ შესძლეს მათ. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მედგრათ დაიცვეს თავისი ძალაუფლება, შეადგინეს თავისი ჯარი, რომელმაც გაანიავა რეაქციონური ჯარები ანტანტის კაპიტალისტების მიერ წელგამაგრებულები.

მუშებო და გლეხებო ახლობელ აღმოსავლეთისა! თუ თქვენ მჭიდროთ შეკავშირდებით, მოაწყობთ საკუთარ მუშურ-გლეხურ მთავრობას, თუ შეიარაღდებით, შეუერთდებით რუსეთის მუშურ-გლეხურ არმიას, იმ შემთხვევაში თქვენ დაიმორჩილებთ ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის კაპიტალისტებს, გათავისუფლდებით დამჩაგვრელთაგან, მოიპოვებთ თავისუფლებას, შესძლებთ შექმნას თავისუფალ, მსოფლიო, მშრომელთა რესპუბლიკისას, გამოიყენებთ თქვენი მშობლიურ ქვეყნის სიმდიდრეს საკუთარ და მთელი დანარჩენი კაცობრიობის ინტერესისათვის, იმ კაცობრიობის, რომელიც სიამოვნებით გამოეშურება თქვენსკენ, გადაგიცვლისთ თქვენთვის საჭირო საგნებზე და სიხარულით დაგეხმარებათ. აი ყოველივე ამის შესახებ გვსურს ჩვენ თქვენთან მოლაპარაკება კონგრესზე.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი და წარმომადგენლები ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, გერმანიის და იტალიის მუშების ჩამოვლენ ბაქოში, რათა თქვენთან ერთად გაარკვიონ საკითხი—როგორ შევუერთოთ ევროპის პროლეტარიატის ღონისძიებანი თქვენს ბრძოლას წინააღმდეგ საერთო მტრისა. ნუ დაზოგავთ ძალას, რათა რაც შეიძლება ბლომათ გამოცხადდეთ პირველ სექტემბერს ქ. ბაქოში. წინეთ თქვენ უდაბნოებზე გადადიოდით და წმინდა ადგილებისკენ მიეშურებოდით—მაშ წამოდით ახლა მთებზე, მდინარეებით, ტყით და უდაბნოებით, შევხვდეთ ერთმანეთს და მოვილაპარაკოთ, თუ როგორ გავთავისუფლდეთ მონობის ბორკილებისგან, როგორ შევერდეთ ყველამ ძმურ კავშირში, რათა ვიწყოთ ცხოვრება თანასწორ, თავისუფალ და ძმური ცხოვრებით.

ჩვენ პირველ ყოვლისა მივმართავთ ახლო აღმოსავლეთის მუშებს და გლეხებს, მარა ჩვენ სიხარულით მივეგებებოდით დელეგატებში შორს მცხოვრებ დაჩაგრულ ხალხთა მასსების წარმომადგენლებს — ინდოეთისა,—და აგრეთვე წარმომადგენლებს მუსულმან ხალხებისა, რომელნიც თავისუფლათ ვითარდებიან საბჭოთა რუსეთთან კავშირში.

1 სექტემბერს მშვიდობიანათ უნდა გაერთიანდენ ბაქოში ახლო აღმოსავლეთის გასათავისუფლებლათ ათასობით ოსმალო, სომეხი და სპარსელი მუშები და გლეხები.

დეე თქვენთა კონგრესმა გააგონოს თქვენს მტრებს ევროპაში და ამერიკაში, აგრეთვე თქვენს ქვეყანაშიც, რომ თქვენი მონობის დრო წავიდა, რომ თქვენ დგებით საომრათ და რომ თქვენ გაიმარჯვებთ.

დეე ამ კონგრესმა უთხრას მთელი მსოფლიოს მუშებს, რომ თქვენ იცავთ თავის უფლებას, რომ თქვენ უერთდებით ძლევამოსილ რევოლიუციონურ არმიას, რომელიც ამჟამათ ებრძვის ყოველგვარ უსამართლობას და მტაცებლობას.

დეე თქვენმა კონგრესმა ჩაბეროს ძალა და რწმენა მრავალ მილიონ დაჩაგრულებს მთელს დედამიწაზე, დეე მან განუღვიძოს მათ რწმენა საკუთარ ძალებში, დეე მოახლოვოს მან საბოლოო გათავისუფლების და გამარჯვების დღე!

**კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.**

თავმჯდომარე—ზინოვიევი.

მდივანი—კ. რადეკ.

ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიის სახელით—ვ. მაკლეინ, ტომ კველჩ.

ინგლისის საქარხნო კომიტეტების სახელით—ჟან ტენნერ, გ. ნერფი.

საფრანგეთის დელეგაციის (კომუნისტ. ინტერნაციონალის კონგრესზე) სახელით—ა. როსმერ, კ დელინიე, ჟ. სადულ.

იტალიის დელეგაციის (კომ. ინტერ. კონგრესზე) სახელით—დ. სერატი, ვ. ვაჩირკა, ნ. ბომბაჩ, ა. გრაციედეი.

ამერიკის კომუნისტური პარტიის სახელით—ლ. ფრაინა, ა. სტოკლინსკი.

ამერიკის კომუნისტ. მუშათა პარტ. სახელით—ა. ბილან.

ისპანიის შრომის ფედერაციის სახელით—ანგელ პესტანა.

რუს. კომ. პარტიის ცენტ. კომ. სახელით—ნ. ბუხარინი, ვ. ვოროვსკი, ა. ბალაბანოვა, გ. კლინგერ.

ვ. ც. ს. პ. ს—ის სახელით— ა. ლოზოვსკი.

პოლონეთის კომუნისტ. პარტიის სახელით—ი. მარხლევსკი.

ბოლგარიის კომუნ. პარტიის და ბალკანეთის კომუნისტ. ფედერაციის სახელით—ნ. შაბლინი.

ავსტრიის კომუნისტ. პარტ. სახელით —რეისნერ.

ვენგრიის კომუნ. პარტიის სახელით —რაკოში, რუდნიანსკი.

გოლანდიის კომუნ. პარტიის სახელით დ. ვაინკუპ.

„Мы слышим звуки одобренья
Не в сладком рокоте хвалы,
А в диких криках [illegible]озлобленья!

ბურჟუაზიას რომ [illegible] ცურათ ვძულვართ, [illegible] სო დამამტკიცებელია იმ ჭეშმარიტების, რომ ჩვენ ვუჩვენებთ ხალხს სწორ გზას და საშვალებებს ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობათ“.

**ნ. ლენინი. „შეინარჩუნებენ ბოლშევიკები სახელმწიფო ძალა-უფლებას“?**

# პარტიული ცხოვრება.

### ლანჩხუთი.

10 ივლისს შესდგა კრება ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა, რომელსაც დაესწრო წარმომადგენლები რვა იაჩეიკიდან. დღის წესრიგი იყო:

1) მოხსენება გურიის კომიტეტისა,
2) მოხსენებები ადგილებიდან,
3) მუშაობის გაძლიერება,
4) წარმომადგ. არჩევა ცენტრში,
5) პრეზიდიუმის ერთი წევრის არჩევა,
6) კაცის გაგზავნა ნიგოითში.

გურიის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ი—მ და გააცნო კრებას მისი დადგენილებანი. შეკითხვების შემდეგ გურიის კომიტეტის მუშაობა ლანჩხუთის კომიტეტმა მოიწონა და სავსებით მიიღო. ადგილებიდან მოხსენება გააკეთეს 8 იაჩეიკის წარმომადგენლებმა. როგორც აქედან გამოირკვა, რაიონში რეგისტრაცია წევრებისა უკვე სრულდება. იაჩეიკის კრებები ვერ ხდება სისტემატიურად. ამის მიზეზი არის ყანებში მუშაობა. ზოგიერთ იაჩეიკებში საქმე კარგად მიდის; თითქმის ყოველ კვირას იმართება კრებები და კითხულობენ და არკვევენ წერილებს „საქ. კომუნისტიდან“. რეგულიარულად იკრიბება აგრეთვე საწევრო გადასახადი. მიუხედავად ყოველივე ამისა, კრება დამაკმაყოფილებლად არ სცნობს მუშაობას და ადგენს: ამხანაგებმა ადგილობრივ გაათკეცონ ენერგია, რომ გააძლიერონ პარტიული მუშაობა, სისტემატიურად მართონ კრებები და მთავარი ყურადღება მიაქციონ კომუნისტურ პროგრამის, საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის და სხ. შესწავლას. გურიის ცენტრში წარმომადგენლად აირჩიეს ამხ. კ—ე, ხოლო ყოფილი წარმომადგენელი კი თანახმად მისი თხოვნისა, გაანთავისუფლეს. კომიტეტის პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. პ—ი. ამხ. ნიგოითის წარმომადგენელმა მოითხოვა კაცის გაგზავნა ნიგოითში პარტიულ კრებაზე დასასწრებლად. კრება ავალებს ამხ. ა—ის დაესწროს ამ კრებას.

**ონიძე.**

### შუხუთის თემი.

4 ივლისს შესდგა მორიგი კრება შუხუთის კომუნისტური იაჩეიკისა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთავარი ყურადღება გლეხკაცობისა მიქცეულია ყანის დამუშავებისაკენ, კრებას მაინც საკმაოთ დაესწრო ამხანაგები: დღის წესრიგი ასეთი იყო:

1. მეცამონ...

2. მოხსენება ...

3. ... საგამომძიებლო კომისიის არჩევა,

4. პარტიული დისციპლინის შესახებ.

პირველად წაკითხულ და გარკვეულ იქმნა კრებაზე წერილები გ. ზინოვიევისა „საქ. კომუნისტში“ ინტერნაციონალის შესახებ. კრება სიხარულით შეხვდა ამას და საჭიროდ სცნო რომ ყოველ კრებაზე იქნას წაკითხული ასეთი წერილები.

რაიკომიდან მოხსენება გააკეთა ამხ. კ—მ, რომელიც შეეხო რაიკომის მუშაობას და გააცნო კრებას მისი დადგენილებები. კრებამ მოიწონა და მიიღო ისინი.

რადგანაც ზოგიერთი პარტიიდან გადაყენებული წევრები მოითხოვდენ გასამართლებას, ამიტომ კრებამ აირჩია 3 კაცისაგან შემდგარი კომისია საქმის გამოსარკვევათ. ამასთან კრება ადგენს, რომ ყველა დადგენილებები კრებისა აუცილებლად სისრულეში იქმნას მოყვანილი, რომ საწევრო გადასახადის წევრები რეგულიალურად იხდიდენ და კრებას ესწრებოდენ სისტემატიურად, რადგან უნდა იქმნას გაძლიერებული იდეური მუშაობა და აქ ყველა წევრი საჭიროა. აღსანიშნავია, რომ ლეგალიზაციის შემდეგ შუხუთში სისტემატიურათ, ყოველ კვირას ხდება კრებები. წევრთა საერთო რიცხვი 45-დე ადის, იაჩეიკაში მიღებულ იქმნა ახალი წევრებიც. ამასთან შუხუთში მოწყობილ იქმნა პარტიული ბიურო, სადაც გამოწერილია გაზეთები და ყველას შეუძლია წაიკითხოს გაერკვეს.

**შუხუთელი.**

—

**ერკეთის თემი. ს. ხევი (გურია).**

ოთხ ივლისს სოფელ ხევში მოხდა ერკეთის რაიონული კომუნისტური პარტიის წევრთა არა-ჩვეულებრივი კრება. სხდომას სხნის დროებითი პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. ჩ—ძე, ამ დროს შემოდის ადგილობრივი თემის გამგეობის მდივანი, და აცხადებს საბჭოს დადგენილებას, რომ ხევში ბალშევიკური კრების გამართვა შეუძლებელია, მხოლოდ ამ ერთ კრების ნებას ვრთავთ და ამის შემდეგ კი აღარ შეიძლება, კრებაზე დარჩება მთავრობის წარმომადგენელიო.

მის მოთხოვნილებას უპასუხა ამხ. გრ. მგალობლიშვილმა, რომელმაც მიუთითა კრებას ლეგალიზაციაზე და მოსთხოვა მათ, მათი დადგენილება კრების შესახებ ეცნობებია უმაღლესი მთავრობისათვის, დაბოლოს ის იძულებული გახდა კრება დაეტოვებია. შემდეგ კრება განაგრძობს თავის საქმეს. დღის წესრიგში შედის შემდეგი კითხვები 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება გურიის ცენტრ. კამიტეტისაგან და აგრეთვე ადგილებიდან, 3) გაზეთებისა და საერთოთ ლიტერატურის შესახებ. ამ დროს შემოდის შეუპოვარი გმირი თემის გამგეობის თავმჯდომარე ნესტორ მინდაძე, მიუხედავათ კრების განცხადებისა, რომ ის არ დაუშვებს გარეშე პირს, არ გადის კრებიდან. კრების თავმჯდომარე აძლევს სიტყვას მომხსენებელ ამხ. გრ. მგალობლიშვილს, ფეხზე ადგომით აღნიშნავს განვლილ სამოქალაქო ომის დროს გმირულათ დახოცილ ამხანაგების ხსოვნას. შემდეგ ამხანაგი ეხება საერთაშორისო მდგომარეობას. გადაჭრილი აზრი გამოაქვს პოლონეთის დამარცხებაზე, საბჭოთა მთავრობის გამარჯვებაზე მსოფლიოში და კერძოთ პოლონეთში, როგორც ისტორიულ აუცილებლობაზე. შემდეგ არკვევს ლეგალიზაციას ჩვენი პარტიისას, საზავო ხელშეკრულებას, რუსეთსა და საქართველოს შორის, რის შედეგათ აღიარებს ინგლისის გაქცევას ბათომიდან და საქართველოს ჯარების შესვლას იქ. ცენტრალური კამიტეტის მოხსენებიდან 27 ივნისის სხდომის ანგარიშებს კრება ადასტურებს. გაზეთებისა და ლიტერატურის გავრცელების საქმისთვის აირჩიეს კომისია. ირჩევს აგრეთვე მთელი ერკეთის რაიონის ხელმძღვანელ კოლლექტივს—9 კაცისგან შემდგარს.

**ვახო.**

# დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

**მოსკოვი, 15 ივლისი.**

**ოპერატიული ცნობა.**

ვილნოს მიმართულებით ჩვენი ჯარები გადავიდა მდინარე ვილიაზე და წამოიყვანა ტყვეები. მოლოდეჩნოს დასავლეთით ჩვენი ნაწილები უახლოვდებიან გერმანიის ძველ პოზიციებს. ბარანოვიჩის და სლუცკის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენ ავიღეთ კამენეც-პოდოლსკი.

**ინგლისი და გენ. ვრანგელი.**

**ლონდონი,** 2 ივლის. ლოიდ-ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა: „ტაიმსის“ ცნობით, ინგლისის მისია მოკლე ხანში დასტოვებს ყირიმის მიდამოებს. ინგლისი არ ფიქრობს, რომ გენ. ვრანგელთან იყოლიოს თავისი წარმომადგენელი.

**მღელვარება ბაღდადში.**

**სტამბოლი.** „ბოსფორი“ გადმოგვცემს, რომ ბაღდადში მღელვარება გრძელდება. ქალაქს საველე ზარბაზნებიდან ესვრიან, მრავალია მოკლული და დაჭრილი.

**მუსტაფა-ქემალი და საფრანგეთი.**

**სტამბოლი.** ივლ. 4. მიღებულ ცნობების თანახმად მუსტაფა-ქემალს მიუმართავს საფრანგეთის სარდალ გენ. გუროსთვის დროებითი ზავის ჩამოგდების წინადადებით იმ პირობით, რომ ფრანგებმა ადანისა და ზონგულდაკის ევაკუაცია მოახდინონ. ქემალი მოითხოვს აგრეთვე მასზე მაღაროების გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმუქრება, რომ ქვა-ნახშირის მიდამოებში ის ფრანგებს შეუტევს.

**ფრანგი მუშები და რუსეთი.**

**პარიზი.** „გაზეთი მატენი“ იუწყება, რომ საფრანგეთის რკინის გზებზე მომუშავეთა ჯგუფმა გადასწყვიტა, რუსეთში მოაწყოს ფრანგ მუშათა კოლონია. ამ მიზნით მათ კრასინს მიმართეს. ამის საპასუხოთ კრასინმა აცნობა საფრანგეთის მუშების სინდიკატის მდივანს, რომ არსებითათ მას არავითარი პასუხის მიცემა არ შეუძლია, სანამ მოსკოვიდან არ მიიღებს საერთო პოლიტიკურ სახელმძღვანელო აზრებს. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა პოლიტიკური კურიერი უკვე გამომგზავრებულა ლონდონისკენ.

**ფულის კრიზისი შვეიცარიაში.**

**ლონდონი.** კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიაში ლითონის ფულის კრიზისი იწყებაო.

**კრასინის მოლაპარაკება კოპენჰაგენში**

**კოპენჰაგენი.** ლიტვინოვი საბჭოთა მთავრობის სახელით კოპენგანგენში მოლაპარაკებას განაგრძობს. შვეციის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ამ მოლაპარაკების შედეგი იქნება რუსეთთან სატელეგრაფო დამოკიდებულების განახლება ჩრდილოეთის დიდი კაბელის საშუალებით.

**პარიზი.** „ლინფორმასიონი“ არკვევს შაქრის თადარიგს მსოფლიო ბაზარზე, რაც მისი გამოანგარიშებით უდრის 70—75 პროც. იმ შაქრის თადარიგისას, რომელიც ომის დაწყებამდე არსებობდა, ინგლისის მიერ შესყიდულ შაქრის რაოდენობა არ აღემატება ორ-მესამედს წინათ შესყიდულ რაოდენობისას. ევროპის ქვეყნები ყველა ზომებს ღებულობენ ჭარხლის შაქრის წარმოების გასაძლიერებლად. ერთი დიდი დაბრკოლება, რომელიც ამას წინ ეღობება არის საჭირო ნაყოფიერი მიწის უქონლობა, რომლის მაგივრადაც სუროგატების ხმარებას მიმართავენ.

**ინგლისელები ქემალისტების წინააღმდეგ.**

**სტამბოლი.** თანახმად მიღებულ ცნობებისა, ინგლისის სამხედრო გემები ზარბაზნებიდან უშენენ ნაციონალისტების პოზიციებს გუზლაში. ბრიტანიის რაზმები იზმიდიდან ადა-ბაზარში გადავიდა.

# მუშათა ცხოვრება.

—

თბილისის მუშებს!

ამხანაგებო! დღეს ჩვენ დაგვიდგა ის დრო, რასაც დიდი სისწრაფით მოველოდით. ჩვენ მოვესწარით ჩვენი ინტერესების დამცველ ორგანოს დაარსებას, და ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ და მხოლოთ მისი არსებობა უზრუნველვყოთ.

ამხანაგებო! გავავრცელოთ ჩვენი ინტერესების დამცველი ორგანო, ამხანაგებში, რათა დაარწმუნოს ისინი, რომ ეს ორგანოა მუშათა ინტერესების დამცველი. ყოველი მუშა, ვისაც კი სწამს ჩვენი ინტერესების დამცველი გაზეთი „საქ. კომუნისტი“, ვალდებულია გამოიწერონ და გაავრცელოს ის დანარჩენ ამხანაგებში და უზრუნველ ჰყოს მისი არსებობა.

მაშ ამხანაგებო! შევერთდეთ ამ ორგანოს დროშის ქვეშ, და ერთხმათ დავადგინოთ მისი არსებობა-უზრუნველყოფა სამუდამოთ.

სტამბის მუშა **ი. სადრაძე.**

—

**ჭიათურის მენშევიკის გმირობა.**

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ჭიათურის შავი ქვის მრეწველი კაპიტალისტები ფულის ორმოში არიან ჩაფლული, მაგრამ მათი მუშები კი რომლის საშვალებით აუარებელი სიმდიდრეს იძენენ სიმშილისაგან სულს ღაფავენ, რომლის გამო მუშების მოთხოვნილება ხშირათ იყო წაყენებული მუშათა მოსამსახურეების ცენტრალურ საბჭოში, მაგრამ მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სახელმწიფოს პოლიტიკურ გაუმჯობესობამდი. გადადევს მენშევიკების მეთაურობით. ამიტომ ზოგიერთი დარგის მუშა მოსამსახურეები თავიანთ დამქირავებელ კანტორას მიმართენ. იყო ამ ხანებში ასეთი მაგალითი: მოსამსახურეებმა მიმართეს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ყრილობას ცუდი პირობების გასაუმჯობესებლათ, მაგრამ მრეწველთა საბჭომ უპასუხა: მართალია მუშა მოსამსახურეები დიდ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ დამქირავებლებს არავითარი უფლება არა გვაქვს სატარიფო პალატიდან მუშების ჯამაგირის მომატებაზედ, ვინაიდან სატარიფო პალატა პასუხს მოგვთხოვსო. თუმცა რამოდენიმეთ, ეს მართალია ვინაიდან ამის საბუთი არც მუშა მოსამსახურეებს ქონდათ.

შემდეგ ამისა ჭიათურის მუშა მოსამსახურეების ერთად ერთი იმედი არის ჭიათურის მუშათა მაგიდა, რომლითაც ყველა თანასწორად სარგებლობს, თუ კი ის მუშა-მოსამსახურეა. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ავღნიშნო ერთ დაქირავებულ მუშათა მაგიდის წევრს ვასილ გაფ—ლზე აღსანიშნავია მისი გმირული ყოფა ქცევა მუშათა მაგიდაში პარტიული ქომაგობისათვის ხშირად შეტოპავს (მენშევიკია), სწორე იმ დროს თუ მას რომელიმე გავლენიანი მენშევიკი უყურებს.

მისი თვალსაჩინო გმირობა გამოიხატება შემდეგში: ამ დღეებში ერთ ბალშევიკ მუშას პურის აღების დროს პურის ბარათი რაღაცა მომიზეზებით გადაუგდო, რაშიდაც პურის ფული ქონებოდა, ბარათის გადაგდების დროს ფული დაიკარგა. როდესაც მუშა შეეკითხა თუ რატომ ჩაიდინა მან ეს, უპასუხაო მიიღო: წადი და პურს მიხა ცხაკაია მოგცემსო, რაზედაც მუშამ უპასუხა რომ ეს პური მენშევიკების ბეღლიდან არ გვეძლევაო. ამის შემდეგ მუშამ მუშათა მაგიდის კომისიაში გაასაჩივრა ეს. ვნახოთ მუშათა მაგიდის კომისია რამდენათ დააფასებს ასეთ ვაჟბატონის გმირობას.

**ა. ზემოხეთელი.**

—

**რკ- გზის მთავარი სახელოსნოები.**

საკვირველი ქვეყნათ არაფერია, მარა მენშევიკების ძალათ „მაცხონეობა“ კია საკვირველი: თუ გინდ იყო თათარი უნდა მიიღო ქრისტიანობაო, შენს რჯულზედ ლოცვა კურთხევაც აკრძალულიაო, ასე ბრძანებენ ისინი. თუ ეს სიმართლე არ იყოს რათ ხდება ეს შიგ მუშებში? დღეს ერთი ამხანაგი კითხულობდა გაზეთს „საქართველოს კომუნისტს“ მას მიუარდა სახარატო ცეხის წარმომადგენელი და დაუწყო თითქმის გინებით და ლანძღვით—რას კითხულობ შენაო! ამხანაგი არავითარ პასუხს არ აძლევდა, ის კიდევ გაბრაზებული ეუბნებოდა—ეს არ არის თქვენი საქმეო და ნურც კითხულობთო. მაშინ კი პასუხი მისცა: „ეს არის ორგანო მთელი დიდი რუსეთის და საქართველოსი“.

საჭიროც ეს არის სწორეთ ეს არის მუშის, გლეხის ჯარის კაცი, ორგანოც თქვენი „ერთობა“ კი ეკუთნის მარტო „პორტფელისტებს“, მდიდრებს, მინისტრებს და სხვა. და ამიტომ სწორეთ „კომუნისტი“ უნდა ვიკითხოთო. ამ ლაპარაკის დროს ათამდე მუშამ მოიყარა თავი, რომლებიც ამბობდენ: როდის გვექნება ჩვენ თავისუფლება, თანასწორობა და სხვა; ეს გაზეთი, როგორც ვხედავთ იცავს ჩვენს ინტერესებს. და ამას ნუ იკითხაო აპა რა უნდა წავიკითხოთ? ერთობა?

მოგვწყინდა მისი კითხვაც, ყიდვაც და ყურადღებაც; მაძღარ ბატონს მშიერი ყმაც მაძღარი ეგონაო. მთელი მაღალი კლასი ყიდულობს მას, ისინი მაძღარია „საჭმელ-სასმელით, ტანით, ფეხით“ თეატრი, „კრუჟოკი“, კინოპალასი“, ცირკი და კლუბი. მათაც სახელი მუშის ქონიათ, მაგრამ მუშების არაფერი აცხიათ, ჩვენი უბედურება იმაშია სწორეთ, რომ ასე თებიკ დასაცავათ ჩვენია. არა სახელით მუშებო, ყოფა ცხოვრებით ბურჟუები, სანამ ჩვენ მოგვიშლიდეთ გაზეთის წაკითხვას და ამაზე თქვენ დაგვიწყებდეთ ლაპარაკს, სჯობს „გულზე ხელი დაიდოთ და სიმართლე ილაპარაკოთ.

მთავარ სახელოსნოების მუშა

**ნ. ც—ლი.**

# საპროტესტო წერილები

**გაზ. „ბორბის“ მუშები.**

8 ივლისის გაზ. „ერთობაში“ მოთავსებული იყო „მუშის“ წერილი, სადაც ავტორი ამბობდა, რომ ქალაქთა კავშირის სტამბაში იყო ორი კომუნისტი,—ერთი წყნარი კომუნისტი უკვე მოათავსეს თავის ალაგას, დარჩა მეორე, რომელიც თავის ინტერესებისათვის თუ საჭირო იქნება, დენიკინელიც კი გახდება, როგორც მკითხველი უყურებს, წერილის ავტორს „მუშას“ დაბეზღებაც კი დაუწყია და უთითებს ამხ. ალშევსკიზე. ჩვენ გაზ. „ბორბის“ მუშები სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ „მუშას“ ამხ. ალშევსკის დენიკინელათ ჩათვლისათვის.

**ხელს აწერს 14 მუშა.**

—

**სტამბა; „ქართველ ბეჭდვით ამხანაგ.“ მუშები პროვოკაციულ წერილის შესახებ.**

ჩვენ სტამბა „ქართველ ბეჭდვითი ამხანაგობის“ მუშებმა წავიკითხეთ რა 8 ივლისის გაზეთ „ერთობაში“ მოთავსებული მეტად არა სასიამოვნო და ამაღელვებელი პროვოკაციული წერილი „მუშისა“, რომელშიაც ის მეტად უსირცხვილოდ და წინ დაუხედავათ შეურაცყოფს ამხ. ალშევსკის პიროვნებას სადაც სხვათა შორის ამბობს (თუ დასჭირდა დენიკინელიც გახდებაო). „მუშას“ როგორც ეტყობა გზა დაკარგვია. ამხ. ალშევსკის კარგათ იცნობს, როგორც ბეჭდვითი პროფესიონალ., კავშირი რომელსაც თვითონ ეკუთვნის და დიდი მუშაობაც მიუძღვის ამ კავშირში, ისე ქ. თბილისის ყველა მუშათა ორგანიზაციები. როგორც ძველ რევოლიუციონერს და დაუღალავ მუშაკს მას არასოდეს არ უღალატნია მუშათა ინტერესებისათვის. ჩვენ ზემოხსენებულ სტამბის მუშები, ვუცხადებთ სასტიკ პროტესტს ავტ. „მუშას“ ასეთი პროვოკაციისათვის.

**ხელს აწერს 30 მუშა.**

# კომუნისტების დევნა

**ფ ო თ შ ი.**

კვლავ ახმაურდენ ფოთის „გმირები“ და მათი შავი ხელები მუსრს ავლებს მართალს და ბრუნდს. 11 ივლისს ღამით ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაატუსაღა კომუნისტური პარტიის ფოთის კომიტეტის წევრები- ექიმი შმაროვი, გრიშა მიმინოიშვილი, ვასილი ჭანტურია, ზოსიმე რუხია, დათიკო კილაძე, კირილე ლომაძე და ნესტორ ქურია. ამ პირებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი შეთქმულებას აწყობდენ შეიარაღებულ გამოსვლებით საქართველოს მთავრობის დასამხობათ, როდესაც ამის მზგავსი აქ არაფერია არ ყოფილა. ყველა ესენი დაატუსაღეს თავ-თავიანთ ოჯახებში შუაღამისას. თუ რა სისაზიზღრემდე მიდიოდა ამ ვაჟბატონების მოქმედება ზემოაღნიშნულ დღეს, ამის განმარტებას ჩვენ ჩვენ მკითხველს პატივცემულ მკითხველისათვის მიგვიდვია გამოსაცნობათ, დე მან დასდოს ამას თავისი მსჯავრი, როგორც მისი სინდისი უკარნახევდეს. ჩვენ მხოლოდ ერთი დაგვრჩენია სათქმელი: მთელი მშრომელი ხალხის გასაგონად სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ასეთი საზიზღარი მოქმედებისათვის და მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლებული იქნან დატუსაღებული ამხანაგები.

**ქ. ფოთის კომუნისტური ორგანიზაცია.**

დრ. რედაქტორი:
მ. ორახელაშვილი.

თფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

—

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

—

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ... ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

—

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

—

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

—

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
13. პარტიული წესდება.

სტამბა კოზლოვსკის მემკვიდრეებისა, რუსთაველის პროსპ; № 12.